



## ფედერაციის წევრ ფიზიკურ პირთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი

### I ზოგადი დებულებები

1.1. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციაში“ (შემდგომში ფედერაცია) სამართალდარღვევების გამოვლენა და მასზე რეაგირების პროცედურების წარმართვა აკისრია ფედერაციის პროფესიული ეთიკის და დისციპლინარულ კომიტეტს (შემდგომში კომიტეტი).

1.2. კომიტეტი შექმნილია და მოქმედებს დებულების თანახმად, თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს ფედერაციის წესდებით, ფედერაციის წევრთა საერთო კრებისა და ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებებით, ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის განკარგულებებით, ფედერაციის მიერ მიღებული (აღიარებული) ან/და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით (IESBA Code), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე შესაბამისი საერთაშორისო ნორმებით და სტანდარტებით.

1.3. კომიტეტის მთავარი დანიშნულებაა ზედამხედველობა გაუწიოს ფედერაციის წევრთა მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და შესრულებას;

1.4. კომიტეტის მიზნები და ამოცანებია: ფედერაციის წევრების ინფორმირებისა და დარღვევათა პრევენციისათვის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის პრაქტიკული გამოყენების დოკუმენტების პროექტების და პროგრამების შემუშავება;

ფედერაციის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის დარღვევების შესახებ დროული, ობიექტური განხილვა და შესაბამისი დისციპლინარულ ღონისძიებების გატარება.

1.5. კომიტეტის ფუნქციებში შედის მოიპოვოს ინფორმაცია ფედერაციის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის დარღვევების შესახებ, მათ შორის, მესამე პირებისგან ფედერაციაში მიღებული შეტყობინების, მომართვის, განცხადების (საჩივრის), ინტერნეტსივრცეში ან სხვა ინფორმაციულ წყაროებში განთავსებული რეკლამების, ტენდერებში მონაწილეების მოქმედებებზე ყურადღების მიღწევის, იდენტიფიცირების, განხილვის და შედეგების შეჯერების გზით.

1.6. კომიტეტის შემადგენლობა ფორმირებულია ფედერაციის 5 წევრისგან, რომელთაც გააჩნიათ საბაზო სხვადასხვა სპეციალობა და თანაბარი უფლებები კომიტეტში. კომიტეტს ხელმძღვანელობს არჩეული თავმჯდომარე, რომელიც დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად იწვევს სხდომებს და წარმართავს მის მსვლელობას.

1.7. კომიტეტის მიერ ფედერაციის წევრის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის გამოვლენის, განხილვისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემა მუდმივად ექვემდებარება გაუმჯობესებას ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

1.8. დარღვევის ფაქტებზე ინფორმაციის მოპოვების ან გამოვლენის ღონისძიებების, რეაგირების ფორმების კოორდინირების მიზნით ფედერაცია თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან (შემდგომ - სამსახური), აგრეთვე სხვა დაინტერესებულ და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებთან.

1.9. ინფორმაცია ან საჩივარი სამართალდარღვევის შესახებ წარმოადგენს დისციპლინური ღონისძიების გასატარებლად პროცედურების/მოკვლევის დაწყების საფუძველს. მოკვლევა ნიშნავს დისციპლინური საქმის წარმოების დაწყებას.

1.10. პროცედურების/მოკვლევის წარმოება ღიად მიმდინარეობს და ინფორმაცია მის დაწყებაზე უნდა ეცნობის პირს, რომლის მიმართაც ტარდება შესაბამისი პროცედურები.

1.11. ინფორმაცია ნებისმიერ სამართალდარღვევაზე რეაგირების შესახებ ქვეყნდება ფედერაციის ვებგვერდზე.

1.10. ინფორმაციის გასაჯაროებისას არ უნდა დაირღვეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება. გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა შემოიფარგლოს სტატისტიკური მონაცემებით და გამოყენებული დისციპლინური სახდელით.

1.11. დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები ეფუძვნება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, აგრეთვე ფედერაციის წესდებას, სახელმძღვანელოდ აღიარებულ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს და მიზნად ისახავს ფედერაციის წევრი პირების მიერ ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას.

1.12. პასუხისმგებლობის ნორმების შესრულება სავალდებულოა ფედერაციის წევრი ნებისმიერი სტატუსის მქონე პირისთვის.

## **2. პროფესიული ქცევა და სამართალდარღვევა**

2.1. ფედერაციის წევრი ვალდებულია დიცვას საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ნორმები და თავი აარიდონ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ლახავს პროფესიის სახელს და ღირსებას.

2.2. პროფესიულ სფეროში ქცევის ნორმად ფედერაციის მიერ აღიარებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code), რომლის მოქმედი რედაქციის (ცვლილებების გათვალისწინებით) შესრულება სავალდებულოა ფედერაციის ყველა წევრისთვის.

2.3. სამართალდარღვევად განიხილება მოქმედება ან უმოქმედება, რომელიც დადასტურდება, როგორც საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების, ასევე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობა.

2.4. კომიტეტის მიერ განხილვასა და რეაგირების კომპეტენციას განეკუთვნება პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის უგულველყოფის ნებისმიერი გამოვლინება.

2.5. სამართალდარღვევის ფაქტები, რომელიც გამოვლინდება ფედერაციის მიერ და სცილდება პროფესიული ეთიკის ნორმების უგულველყოფის ფარგლებს, ეცნობება შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს და საჭიროების შემთხვევაში, მიეწოდება ფედერაციის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.

### **3. დისციპლინარული სახდელები**

3.1. ფედერაციის წევრი პირების მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება:

- **მითითება** (დამრღვევი პირისთვის წერილობითი მიმართვის ფორმა მიწოდებით: შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა. გამოიყენება შედარებით მსუბუქი გადაცდომისთვის).

- **დავალდებულება** (დამრღვევი პირისთვის წერილობითი მიმართვა მოთხოვნით: შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა).

- **გაფრთხილება** (დარღვევის სიმძიმის მიხედვით, დაიშვება მის მკაცრი ფორმით გამოხატვა. საოქმო ჩანაწერში ფიქსირდება მოთხოვნა გადაცდომის მოქმედების ან უმოქმედობის შეწყვეტის შესახებ);

- **საყვედური** (გამოიყენება მისი ვებგვერდზე ასახვის ან მის გარეშე მოდიფიცირებული ფორმა დისციპლინარული გადაცდენების სირთულის შესაბამისად);

- **სტატუსის შეჩერება ერთ წლამდე ვადით** (დამრღვევ პირს ეზღუდება ფედერაციის წევრს სტატუსის გამოყენება და ეცნობება დამსაქმებელსა და სამსახურს საქმიანობის უფლებამოსილების შეწყვეტაზე შესაბამისად რეაგირების მიზნით);

- **ფედერაციიდან გარიცხვა** (უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება გადაცდომის სიმძიმის შესაბამისად, აგრეთვე, უპირობოდ, განგრძობითი სწავლებისთვის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის, საწევრო შენატანების



გადაუხდელობის და საქმიანობის გამო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში).

3.2. ფედერაციიდან გარიცხვის სახდელამდე, დარღვევის განმეორებით ჩადენისას, როგორც მინიმუმ, გამოიყენება წინა შემთხვევაში შეფარდებულ დისციპლინარულ სახდელზე მაღალი ზომა.

3.3. გარდა ფედერაციიდან გარიცხვისა, თუ დისციპლინური სახდელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში პირს არ დაედება ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სახდელი არ ჰქონია დადებული.

#### 4. სამართალდარღვევების საქმის წარმოების წესი

1. ფედერაციის წევრების მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სამართლის ნორმების დარღვევებზე შემოსულ საჩივრები განსახილველად გადაეცემა კომიტეტს.

2. განხილვას ექვემდებარება მხოლოდ მოტივირებული საჩივრები (ინფორმაცია, შეტყობინება, მომართვები, განცხადებები), რომელშიც ასახულია კონკრეტული ფაქტები და მასალები ფედერაციის წევრის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებისა და მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

3. კომიტეტს განსახილველად გადაეცემა აგრეთვე ფედერაციის მიერ საკუთარი წყაროებით მოპოვებული ინფორმაციები ან მის მიერ ცნობილი/გამოვლენილი გარემოებები ფედერაციის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ.

4. საკუთარი წყაროებით მოპოვებული ინფორმაციები ან უშუალოდ, გამოვლენილი გარემოებები, აგრეთვე მოთხოვნა ფორმირდება წერილობით მიმღების/მომპოვებლის მიერ და ფედერაციის ადმინისტრაციის მეშვეობით გადაეცემა კომიტეტს, როგორც ინფორმაცია/საჩივარი.

5. საქმის განხილვის პროცედურა ყველა შემთხვევაში იდენტურია.

**5. საჩივარი** (ინფორმაცია, შეტყობინება, წერილობითი მომართვა, განცხადება, შემდგომში საჩივარი):

1. უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს და იძლეოდეს შესაძლო დამრღვევ პირზე იდენტიფიცირების საშუალებას:

ა) განმცხადებლის ვინაობას, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა).

ბ) განმცხადებლის წარმომადგენლის ვინაობას, მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა), თუ განმცხადებელს ჰყავს წარმომადგენელი;

გ) ფედერაციის წევრი იმ პირის/პირთა ჯგუფის ვინაობას, რომლის წინააღმდეგაც არის საჩივარი წარმოდგენილი;

დ) განმცხადებლის მოთხოვნას;

ე) გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;

ვ) საჩივარზე დართული საბუთების ნუსხას, თუ ისინი თანდართულია, ასევე მოწმეთა ვინაობის შესახებ ინფორმაციას, თუ მათ შეუძლიათ საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას.

6. განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს კომიტეტს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

7. საჩივარს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი, კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საბუთი, თუ იგი კომიტეტში შეაქვს წარმომადგენელს.

9. ფედერაციაში საჩივარი შეიძლება გაიგზავნოს პირის მიერ პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის მომენტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლისა, მისი აღმოჩენის შემდეგ.

## 6. საჩივრის რეგისტრაცია

1. საჩივარი ფედერაციაში იგზავნება ფოსტით/ელექტრონული ფოსტით ან ბარდება ფედერაციის კანცრლარს. მიღების დღესვე მიეთითება მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

2. საჩივარი უფლებამოსილი პირის მიერ გადაეცემა კომიტეტის თავმჯდომარეს, ხოლო მისი არყოფნისას, კომისიის მიერ უფლებამოსილ კომისიის წევრს.

3. ასეთივე წესით გადაეცემა კომიტეტს ფედერაციის მიერ საკუთარი წყაროებით ან ინიციატივით მიღებული ინფორმაცია.

## 7. საჩივრის განხილვა

1. საჩივრების განხილვა ითვალისწინებს ფედერაციის წევრის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლას/მოკვლევას, რომლის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება.

კომიტეტი გულდასმით ეცნობა მიღებულ საჩივარს (ინფორმაციას, შეტყობინებას, წერილობით მომართვას, განცხადებას) იმ განწყობით, რომ რეაგირების გარეშე არ დარჩეს შესაძლო არცერთი დარღვევის ფაქტი და მისი ნიშნების არსებობისას, დაუშვებელია შექმნას საჩივრის მიღების ან გაფორმების ფორმალური მხარის გამო დამაბრკოლებელი ბარიერი.

კომიტეტი დაკისრებულ ფუნქციას ახორციელებს ინფორმაციაზე დაფუძნებული და საჩივარზე დაფუძნებული პრინციპების ერთობლიობით.

2. საჩივრების წინასწარი განხილვის საფუძველზე კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას:

- მოტივირებულ უარს საჩივრების განხილვაზე;
- საჩივრების განხილვის თაობაზე.

3. საჩივრის განხილვაზე მოტივირებული უარის გადაწყვეტილების მიღებისას საჩივარი უბრუნდება ავტორს.

4. საჩივრის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომიტეტი იწყებს წარმოდგენილი მასალის შესწავლას, რისთვისაც კომიტეტის წევრებისგან

შერჩეულ პირს შესწავლის და სხვა პროცედურების განსახორციელებლად გადასცემს მას წარმოდგენილ მასალებს;

5. კომიტეტის მიერ უფლებამოსილი წევრი, გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში სწავლობს საქმესთან დაკავშირებულ სხვა მტკიცებულებებს, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გამოკითხავს განმცხადებელს ან პირს, ვის მიმართაც შემოსულია განცხადება. კომიტეტს უფლება აქვს საქმის განხილვისათვის გაუგრძელოს მას 7 დღით ვადა და მოიწვიოს ხარისხის კონტროლის კომიტეტის წარმომადგენელი.

6. საკითხის განსახილველად და მასზე გადაწყვეტილების მისაღებად კომიტეტის თავმჯდომარე იწვევს კომიტეტის სხდომას.

7. ინფორმაციის, შეტყობინების, მომართვის, განცხადების (საჩივრის) განხილვისას კომიტეტი ვალდებულია სხდომაზე მოიწვიოს ფედერაციის წევრ(ებ)ი, ვის მიმართაც განიხილება საქმე.

8 კომიტეტი სხდომაზე საკითხს განიხილავს ისე, რომ უზრუნველყოს საქმის მაქსიმალურად სრული და ყოველმხრივი ანალიზი, რასაც მნიშვნელობა აქვს სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

9. კომიტეტის მიერ საქმის განხილვაზე დასწრების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებულ მხარედ ითვლება ინფორმაციის გამავრცელებელი, მომჩივანი, მისი წარმომადგენელი (ინტერესების დამცველი) და მოპასუხე.

10. საჩივრის (ინფორმაციის, შეტყობინების, მომართვის, განცხადების) განხილვისა და წერილობითი პასუხის/გადაწყვეტილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი მიღებიდან 30 დღეს.

11. კომიტეტის გადაწყვეტილება განხივის შედეგებზე ფორმდება ოქმით, რომელშიც აისახება:

- კომიტეტის სხდომის ჩატარების თარიღი;
- კომიტეტის შემადგენლობა, ვის მიერაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული;
- ფედერაციის წევრის დასახელება, ვის მიმართაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული;
- განმცხადებლის დასახელება;



- საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები; მტკიცებულებები, რაზედაც დაფუძნებულია გადაწყვეტილება;

- პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის ნორმები, რომელიც იქნა დარღვეული (კომიტეტის მიერ ასეთი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში);

- ან მოტივირებული გადაწყვეტილება, სადაც დასაბუთებული იქნება დარღვევების ნიშნების არ არსებობა (ან ამ ნიშნების არასაკმარისი არსებობა) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და/ან სხვა ნორმების დარღვევის ფაქტ(ებ)ის აღიარების შესახებ.

12. კომიტეტის გადაწყვეტილების ასლი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში ეგზავნება ფედერაციის წევრს, ვის მიმართაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული და განმცხადებელს.

13. განსახილველ საკითხთან მოპოვებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად.

## **7. საჩივრის განხილვაზე უარის თქმა**

1. კომიტეტის მიერ საქმის წარმოება წყდება და საჩივარი (ინფორმაციის, შეტყობინების, მიმართვის, განცხადების) არსებითად არ განიხილება, თუ:

ა) მისი განხილვა არ შედის კომიტეტის კომპეტენციაში;

ბ) საჩივარი (წერილობითი მიმართვა, განცხადება, მოხსენებითი ბარათი) წარდგენილია ქმედუუნარო პირის მიერ;

დ) კომიტეტის წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით;

ე) არსებობს კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე;

## **8. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით**

1. მხარეებს უფლება აქვთ საქმის წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლის მეშვეობით.

2. კომიტეტის წევრებს ეკრძალებათ მხარის წარმომადგენლობა საქმის წარმოების პროცესში.

## **9. საქმის წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა**

1. საქმის წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს კომიტეტის ის წევრი, რომელიც:
  - ა) თვითონ არის მხარე საქმის წარმოებაში;
  - ბ) საქმის წარმოებაში მონაწილე მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;
  - გ) არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.
2. კომიტეტის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება აღნიშნული რომელიმე გარემოების არსებობისას.

## **10. კომისიის წევრის აცილება**

1. მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს კომიტეტის წევრის აცილების საფუძველი, უფლება აქვს კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე წერილობით განაცხადოს დასაბუთებული აცილება.
2. წარმოებაში მონაწილე მხარემ უნდა წარადგინოს განცხადება აცილების შესახებ 5 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა გარემოება, რომელიც იძლევა კომიტეტის წევრის აცილების საფუძველს.
3. კომიტეტის წევრის აცილების ან თვითაცილების შესახებ განცხადებას იხილავს კომიტეტი იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, ვისი აცილების ან თვითაცილების საკითხიც დგას.

## **11. მხარეთა შეტყობინება**

1. მხარეს წერილობით ან ტელეფონით ეცნობება კომიტეტის სხდომის დრო და ადგილი. ასეთივე შეტყობინების გზით უნდა მოხდეს აგრეთვე მოწმეების, ან საკითხთან დაკავშირებული პირის მოწვევა. თუ მხარემ დანიშნა წარმომადგენელი, მაშინ შეტყობინება მხარის ნაცვლად გაეგზავნება მის წარმომადგენელს.

## **12. მხარეთა უფლებები**

მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ მათთან დაკავშირებულ

საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; წარადგინონ მტკიცებულებები; კომიტეტს მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები საქმის წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე.

კომიტეტი ვალდებულია მოკვლევასა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის წარმოების პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ არ დაარღვიოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება და უზრუნველყოს საჯაროობის დაიცვა.

### **13. მტკიცებულებათა შეგროვება**

1. მტკიცებულებებს კომიტეტს წარუდგენენ მხარეები.

2. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და კომიტეტში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით კომიტეტს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.

3. კომიტეტი არ გაითვალისწინებს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

### **14. კომიტეტის გადაწყვეტილების სტატუსი და შინაარსი**

1. კომიტეტის დასკვნა წარმოადგენს რეკომენდაციას და ის წარედგინება: ფედერაციის გამგეობას იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიღება განეკუთვნება გამგეობის კომპეტენციას;

2. რეკომენდაციაში აღინიშნება მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღები ორგანოს დასახელება და კომისიის შემადგენლობა, საჩივრის (წერილობითი მიმართვის, განცხადების, მოხსენებითი ბარათის) კომისიაში შემოსვლის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი, მხარეები, წარმომადგენლები, პირის/პირთა ჯგუფის მიერ ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევა.

3. რეკომენდაციაში უნდა მიეთითოს საჩივრის (მიმართვის, განცხადების) ავტორის მოთხოვნა და მოპასუხე მხარის პოზიცია. სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს კომიტეტი მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მტკიცებულებები, რომელსაც ემყარება დასკვნები.

4. რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს დარღვევაზე სავარაუდო დისციპლინარული პასუხისმგებლობის სახეს.

### **15. საქმის წარმოების შეჩერება**

1. კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საქმის შესწავლის პერიოდში კომიტეტისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური სირთულეები (დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით). საქმის წარმოების შეჩერების ვადა არ ჩაითვლება ამ დებულებით განსაზღვრულ საქმის წარმოების ვადებში.

ბ) საქმის მასალების მიხედვით მოპასუხე მხარის ქმედებაში აშკარაა დანაშაულის ნიშნების არსებობა. ასეთ შემთხვევაში კომიტეტის გადაწყვეტილებით საქმის მასალები ეგზავნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს;

გ) ამავე მხარის მიმართ კომიტეტის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომელის შედეგებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კომისიის დასკვნაზე.

2. საქმის წარმოების შეჩერებისას, ის უნდა განახლდეს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

3. საქმის წარმოების განახლების თაობაზე კომიტეტი იღებს შესაბამის დასკვნას.

### **16. კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება**

1. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არ აკმაყოფილებს განმცხადებელს, შეიძლება გასაჩივრდეს ფედერაციის გამგეობაში ან ფედერაციის საერთო კრებაზე განსახილველად, მიღებული პასუხიდან 15 დღის განმავლობაში, ასევე სასამართლოში დადგენილი წესით.

2. ფედერაციის შიგნით გასაჩივრებულ გადაწყვეტილების შესაბამისობას იხილავს ფედერაციის გამგეობის მიერ შეჩეული საგანგებო საბჭო, რომელშიც არ იქნებიან კომიტეტის და მოკვლევის პროცედურებში მონაწილე პირები.



3. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე 5 დღეში საბჭო ნიშნავს განხილვის დღეს და შეტყობინებას უგზავნის მომჩივანს განხილვის თარიღამდე 10 სამუშაო დღით ადრე.

4. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი თუ სხდომას ესწრება მინიმუმ 3 წევრი. საბჭოზე საჩივრის განხილვას ესწრება მომჩივანი და მისი ინტერესების დამცველი. განხილვას შეიძლება დაესწროს მომკვლევნი და კომიტეტის თავმჯდომარე.

9. საბჭო საჩივრის შინაარსის და შესაბამისი არგუმენტების მოსმენის შემდეგ დამსწრე პირთა მონაწილეობის გარეშე მსჯელობს განსახილველ საკითხზე და გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

10. საბჭოს გადაწყვეტილება მომჩივანისათვის ცნობილი უნდა გახდეს საბჭოს სხდომის დამთავრებამდე.

11. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ფორმით. საბჭოს სხდომის თარიღიდან 3 სამუშაო დღეში გადაწყვეტილება ეგზავნება მომჩივანს. გადაწყვეტილება შეიძლება გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.

## **17. დამოუკიდებლობა და ინტერესთა კონფლიქტი**

1. ფედერაციის წევრის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის შესწავლის, განხილვის, სახდელის დაკისრების და გასაჩივრების მთელი პროცესი უნდა წარიმართოს ობიექტურობის დაცვითა და ყველა ეტაპზე გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. ფედერაციის გამგეობამ და კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ ამ პროცესში მონაწილე პირების დამოუკიდებლობა და მაკომპრომენტირებელი ზეგავლენისაგან მათი დაცვა.

2. განხილვის პირებს დამოუკიდებლობამ უნდა მიაჩივოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც თავისუფალი იქნებიან და საშუალება ექნებათ იმოქმედონ პატიოსნად და ობიექტურად.

## **18. დოკუმენტაციის შენახვის წესი**

კომიტეტი სამართალდარღვევის საქმის წარმოების მასალებს ინახავს დადგენილი საერთო წესის შესაბამისად.